

ლოცვა-დალოცვის ფორმულები ვაჟას შემოქმედებაში

(ლექსიკურ-გრამატიკული ანალიზი)

ვაჟას შემოქმედებაში უხვად გაბნეული ენობრივი ფორმულებიდან მოვიძიეთ ერთი ნაწილი — დალოცვის ფორმულები. მწერლის ამოუწურავი ლექსიკის შესასწავლად არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან დაგვეხმარა „ვაჟას კრებული“, რომელსაც ერთვის ვაჟას თხზულებათა ხუთტომეულიდან (1961 წ.) ამოკრეფილი დალოცვისა და წყევლის ფორმულების ლექსიკონი. ვისარგებლეთ ბატონ ალექსი ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონით“, რომელიც გვაძლევს „სიტყვის განმარტებას რეალიებთან (საყოფაცხოვრებო მოვლენებთან) კავშირში, აგრეთვე ისეთ სიტყვათა ახსნას, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ცნობილია, მაგრამ მნიშვნელობა თავისებური აქვს“¹.

დალოცვის ფორმულებიდან გამოიკვეთა შედარებით მცირე რაოდენობის ლოცვის ფორმულები. ჩვენ შევეცადეთ ეს გაქვავებული ენობრივი გამონათქვამები დაგვეგუფლებინა საერთო და ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით; გარდა ამისა, წარმოგვედგინა ლოცვა-დალოცვის ფორმულათა აგებულებისათვის საერთო მოდელი, სახელდობრ, დადებითი სემანტიკის სხვადასხვაგვარი გამოხატვა, მათ შორის — ნეგატიური სემანტიკის გამორიცხვა უარყოფის ენობრივი საშუალებებით.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამჯერად ვისაუბრებთ მხოლოდ

¹ არნ. ჩიქობავა, „ვაჟას ლექსიკონისათვის“, „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, თბ., 1969 წ., გვ. 7.

არსებითზე ლოცვა-დალოცვის ფორმულებისათვის დამახასიათებელი ასპექტებიდან.

ადამიანთა კეთილი სურვილები, უწინარესად, ლოცვა-დალოცვით გამოითქმის. ლოცვა დიალოგიზებული მონოლოგია, უკეთ რომ ვთქვათ, ცალმხრივი დიალოგია ადამიანისა ღმერთთან, წმინდანებთან ან სალოცავებთან.

1. ლოცვა-დალოცვის ადრესატი

ა) ლოცვა განსხვავდება დალოცვისაგან, უპირველესად, ადრესატის მიხედვით. ლოცვის ადრესატი მხოლოდ ღვთიური ძალებია. მლოცველი სწორედ ღვთიურ ძალებს მიმართავს და, შესაბამისად, მათი აღმნიშვნელი სახელები წარმოდგენილია წოდებითი ბრუნვის ფორმით. მაგალითები:

„შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა, **დოვლათო ახმეტისაო!**“ (ვაჟას კრებ., თბ., 1970, გვ. 238) (მღრ. დალოცვის ფორმულას: „აი, ემ ბატონის ყმაი ხარ, გიგოო! გწყალობდეს ამის დავლათი, გამარჯვება მოგცეს!“ (დასახ. ნაშრ., გვ. 239);

„ხვეისბერი: ...შენ შენს წყალობას ნუ მაუშლი სახვეწრის ბატრონს გიგოსა... შაიწირ-შაიხვეწო, **დიდო გუდანის ჯვარო!**“ (გვ. 242)

(მღრ. „ხვესურნი: (გიგოს) წყალობა მოგცას! შეგეწიას, გიგოო, გუდანის ჯვარი! გიგოო, თქვენც შეგეწიოსთ, ჩემო ძებო!“ (გვ. 241);

ლოცვის ნიმუშებია:

1. **„ღმერთო და ფშავ-ხევის სალოცავებო!** დასწერეთ ჯვარი, აშორეთ ყოველი მავნე!“ (გვ. 252);

„გვაშორე სიკვდილი, **უფალო,** გვაშორეო, მიცოცხლე, **ღმერთო,** ჩემები, ვინცა მყვანან“, (გვ. 251);

2. **„უფალო,** მაცხოვრე მადლიანადა, ნუ დამაბრმავებ ცოდვისთვის, მამყოფე თვალისადა“, (გვ. 251);

3. **„დიდო გუდანის ჯვარო,** ...დასცევ, დაღუარე ავი საქმისაგან, ავი წადილისაგან“, (გვ. 241);

„დიდება შენდა, **გმირო კობალაო,** ...**ღაღო იახსარო,** **ფუძის მთავარანგელოზო,** **საქართველოს მეოლო ანგელოზო,** ...მოეხმარენით ემ ზედაშის ბატრონსა და ყველა აქა კრებულთა!“ (გვ. 241).

ბ) დალოცვის დროს დაბლოცველი ახსენებს ღმერთს ან ჯვარ-ხატ-სალოცავეებს, მაგრამ მისთვის ადრესატი მსმენელია. თავის მხრივ, მსმენელი, უმეტესწილად II პირია (ორივე რიცხვის ფორმით). დაბლოცველი ზოგჯერ მიმართვის ადრესატთან ერთად თავის თავსაც ან სხვასაც (ს ხ ვ ე ბ ს ა ც) გულისხმობს. მაგალითად:

„ბალო, **შენც** გაცოცხლოს, **დედ-მამა** გიცოცხლოს; **მამა მღვდელი**, **შენც** გაცოცხლოს, **შენი წირვა-ლოცვის მადლი შენც** შეგეწიოს და **ჩვენც**“, (გვ. 238);

„**შენდაც** მშვიდობა, გაცოცხლოს თავის **ქმრითა და წილობით**“, (გვ. 238);

„ღმერთმა გაცოცხლოსთ, ხევსურნო, ...კეთილის თვალით იყოს ეს ბატონი გუდანის ჯვარი **თქვენზედაც და ჩვენზედაც**“, (გვ. 241).

2. ლოცვის ფორმულებს კიდევ ერთი ნიშანი განასხვავებს დალოცვის ფორმულებისაგან. ბლოცველი ღვთისაგან, წმინდანებისა და სალოცავეებისაგან სააქაო ცხოვრებას და საიქიო ცხოვრებას ითხოვს როგორც თავისი თავისათვის, ისე III პირისათვის, ორსავე რიცხვში. მაგალითად:

„ღმერთო, **მიცოცხლე, დამიზარდე** ჩემი **შვილები!**“ (გვ. 257);

„**გულს ნუ მომიკლავ**, უფალო, იმედს **ნუ დამინიავებ**, ...**მიშველე** რამა, **შენს მადლსა, წამალს ნუ დამიგვიანებ**“, (გვ. 251);

„**ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი**: **შენ შენს წყალობას ნუ მაუშლი სახვეწრის ბატონს გიგოსა... შაიწირ-შაიხვეწიე**, დიდო გუდანის ჯვარო!“ (გვ. 242).

ლოცვისას, შესაბამისად, ლოცვის ფორმულისათვის, შეუთავსებელია II პირის გამოხატვა-გამოთქმა. როცა აღამიანი თანმხლები პირის წყალობისათვის თხოვნით მიმართავს ლოცვის ადრესატს, ჩნდება სათანადო არსებითი სახელები ჩვენებითი ნაცვალსახელებითურთ: „ამ, ემ“, ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი — „ამათ...“ მაგალითად:

„ღმერთო და წმინდა გიორგიო, **შენ შეგეწიე ამ** საკლავის ბატონსო“, (გვ. 253);

„ღმერთო, ...**მუხის**“ ანგელოზო, ...**ლაშარის ჯვარო**, ... უმატეთ **ამათ** სახლის ღონესა, ქონესა, კაცსა-კაცრიელობასა“, (გვ. 248);

„დიდება შენდა, დიდო ლაშარის ჯვარო, დიდო თამარ ნეფეო, ...გმირო კობალაო, ...მოეხმარენით ემ ზედაშის პატრონსა და ყველა აქა კრებულთა“, (გვ. 245).

დალოცვის ფორმულებში კი შეუზღუდავადაა წარმოდგენილი სამივე პირი — I და II პირები ნაცვალსახელებით გამოხატული (მხ-სა და მრ-ში), III პირი კი — არსებითი სახელით:

„მე მაამოს; (გვ. 237)

შენს სიცოცხლე გაამოს;
გაამოსთ თქვენი წუთისოფელი“

} აქ იგულისხმება II და III პირის ნაცვალსახელები: (შენ) გაამოს, (თქვენ) გაამოსთ;

„მეც მადღეგრძელოს...“

შენ გადღეგრძელოს... ბიძია;

ნეფე ადღენძელოს, დედუფალ გაახარას“ (გვ. 238)

„მეფე გვიცოცხლოს ზეცაჲ...“, (გვ. 251), — (ირ. ობიექტად იგულისხმება ნაცვალსახ. — „ჩვენ“); — „ღმერთმა უშველოს ცოცხალსა, ქალსა თუ კაცსა, ყველასა!“ (გვ. 261).

ლოცვა-დალოცვის ფორმულებში დასალოცი ობიექტი წარმოდგენილია ხან საკუთარი სახელით, ხან — საზოგადოთი, ხან სულიერითა და უსულოთი, ხან — კონკრეტულითა და აბსტრაქტულით, ხან — კრებითითა და ზედსართავითაც კი. მაგალითები:

1. „დიდებული ღმერთი შეეწიოს და ეს ჩვენი ადგილის დედა... ჩემს ძმისწულებს“, (გვ. 238);

2. „...შაგეწიას, გიგოო, გუდანის ჯვარი! გიგო: თქვენც შაგეწიოსთ, ჩემო ძმებო!“ (გვ. 241);

3. „ჯვარი გეწეროსთ შენა და შენს ჩიბუნსა, ერთმანეთს შეგაბეროსთ“, (გვ. 244);

მეც მეჩქარება, მშვიდობით, შენთვის გზა დამილოცია!“ (გვ. 241);

4. „აგრემც გაემარჯვება თქვენს ხმაღსა, თქვენს ძაღსა და სამართაღსა!“ (გვ. 239);

5. „შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა, დოვლათო ახმეტისაო!“ (გვ. 238);

„ღმერთო, ნაწილის გამჩენო, შენ უშველე ამ ოჯახს“, (ვაჟას კრებ., თბ., 1970, გვ. 261);

„ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა, უშველე, შაიწყალეო!“

(დასახ. ნაშრ., გვ. 258).

ორისავე ჯგუფის ფორმულათა გათვალისწინებით, დროულ-ლია, დავასახელოთ, ვისგან ითხოვს ან ვინ ეგულება მთქმელს მლოცველ-დამლოცველად ან რა არის თხოვნის ობიექტი: შეწევ-ნა, შენდობა, წყალობა, გამარჯვება, სააქაო ცხოვრება და საიქიო ცხოვრება, იმავდროულად, დაცვა, მფარველობა, კურთხევა, ავისა და ბოროტის აშორება.

1. უპირველესი ნუგეში და მაცოცხლებელი ძალა ღმერთია კაცისათვის. ამდენად, ბუნებრივია ღვთის კრძალვით ხსენება:

დიდებული ღმერთი — „დიდებული ღმერთი შეაგწიოს, ჩემო ცოლო და შვილებო, აგავსოთ პურითა, ღვინითა და თავში ტვინითა..., დიდებული ღმერთი შეაგწიოს ამ ოჯახს, კიდევ თქვენც, აქა ბრძანებულთ,“ (დასახ. ნაშრ., გვ. 253);

ღმერთო, მართალო — „ღმერთო მართალო, შენ დაგვიხსენ და დაგვიფარე, შენ გვიშველე...“

ღმერთო, ძლიერო — ღმერთო ძლიერო! შენ დაგვიფარე ჩვენი მეფე და ჩვენი ქვეყანა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 256);

ღმერთო, დალოცვილო — „ღმერთო დალოცვილო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულ კაცს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 261);

ღმერთო, ნაწილის გამჩენო — „ღმერთო, ნაწილის (პური, საკვები — ალ. ჭინ.) გამჩენო, შენ უშველე ამ ოჯახს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 261) („საშობაო მოთხრ.“, — სტუმრები); უხვად გვაქვს ფორმულები, რომლებშიც ღმერთის აღმნიშვნელ სახელს განსაზღვრება არ ახლავს:

„**ღმერთმა** გაბედინაოს და სუ ესეთა ვაჟები მოგცესო!“ (დასახ. ნაშრ., გვ. 253);

„**ღმერთმა** გაშოროს ბოროტი, ავ საქმე, ავი წადილი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 254);

„ვინც დაგაკლდა, გიცხოვოს, **ღმერთმა** გაკმავეს ზარალი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 254).

2. ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ადამიანისათვის ღმერთი უფალია. სწორედ ამ სინონიმის ვხვდებით შემდეგ მაგალითებში:

„გვაშორე სიკვდილი, **უფალო**, გვაშორეო, მიცოცხლე, **ღმერთო**, ჩემები, ვინცა მყვანან“, (დასახ. ნაშრ., გვ. 251);

„**ღმერთმა** გაშოროს ბოროტი, ავ საქმე, ავი წადილი, ...ნუ მო-

გვიშალოს **უფალმა** ძმობა და ერთად ხადილი (დასახ. ნაშრ., გვ. 251).

ხადილი — **წვეულება, დროსტარება** (ალ. ჭინჭარაული, „მცირე ლექსიკონი“, „გოგოთურ და აფშინა“, III, გვ. 334).

ეს ორი სახელი (ღმერთი და უფალი) სინონიმურად იხმარება ერთ კონტექსტში, ერთ წინადადებაშიც კი, ოღონდ მათ მსაზღვრელებთან შეხამების სხვადასხვა უნარი ახასიათებთ. ღვთის უპირველეს სახელთან მსაზღვრელთა სიუხვევა: — ღმერთი დიდებულია, მართალია, ძლიერია, დალოცვილია, ნაწილის გამჩენია, ზოლო უფალი — დამბადებელია:

„კაი საქმე ნუ მოგიშალოსთ **უფალმა დამბადებელმა...**“ (დასახ. ნაშრ., გვ. 251);

„**უფალო დამბადებელო**, მთა-ბარს მოჰნიჭე წყალობა...“ (დასახ. ნაშრ., გვ. 250).

უფლის სახელს საზღვრულად მოსდევს: **უფლის კალთა, უფლის მადლი**. ასევე, იხსენიება **მხოლოდ უფალი**:

„იკურთხოს დედათა ღვაწლი, **მადლი** სწყალობდეს **უფლისა!**“ (დასახ. ნაშრ., გვ. 251);

„მეფე გვიცოცხლოს **ზეცამა**, ...ბარში თუ მთაში წაბრძანდეს, ჰფარვიდეს **უფლის კალთაო!**“ (დასახ. ნაშრ., გვ. 251);

„თითო-ოროლა ვიბოვნე, უცხოდ ამჟღერი ვნებისა, ...ალღად შეარგოს **უფალმა** მხოლოდ მას ძუძუ დედისა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 251).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთისა და უფლის სინონიმად გვხვდება **ზეცა** (ოღონდ მსაზღვრელ-საზღვრულის გარეშე) და ასეთი შესიტყვებაც — **ცისა და ქვეყნის იერი**:

„საბრთხილო კია, **ზეცაო**, შენ გვედრები ბეჩავი... მა გოგოს კალთა აფარო, არიღო ყველა მას ავი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 244);

„ადიდე ლაშარის ჯვარი, **ცისა და ქვეყნის იერო!**“ (დასახ. ნაშრ., გვ. 262).

მორწმუნე სასოებად ღვთისმშობელს მიიჩნევს და ითხოვს:

„მე გამოვართვი თასი და დავილოცე: ...ემ ადგილის ღვთისმშობელი შეეწიოს თემსა“ (დასახ. ნაშრ., გვ. 252). ადგ. დედა —

„ამა თუ იმ ადგილის მფარველი წმინდა სული“ (ალ. ჭინჭარაული „მცირე ლექსიკონი“, გვ. 31);

3. ქრისტიანი მთიელისათვის უძლიერესი სალოცავია ლაშარის ჯვარი — „მოგწიოს ლაშარის ჯვარმა მუდამამც გულის წადილსა“ (დასახ. ნაშრ., გვ. 248). საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ ამოკრებილ ფორმულებში ერთმანეთის გვერდითაა დასახელებული „წმინდა ლაშარი-ჯვარი და წმინდა თამარ დედოფალი“, ლაშარის ჯვარი და „მუხის“ ანგელოზი, თამარ დედოფალი და „მუხის“ ანგელოზი.

„საზანდარი: შაგეწიოთ წმინდა **ლაშარი-ჯვარი** და წმინდა **თამარ დედოფალი**“, (დასახ. ნაშრ., გვ. 247);

„ღმერთო, ...**მუხის**“ **ანგელოზო**, თამარ დედოფალო, ...თქვენი საყმომით (სახელები) ...დაიფარეთ ლალი მტრისაგან, მწარე სიკვლიდისაგან“, (დასახ. ნაშრ., გვ. 245),

„ღმერთო, ...**მუხის**“ **ანგელოზო**, ...**ლაშარისჯვარო**, ...უმეტეთ ამათ სახლის ღონესა, ქონესა, კაცსა-კაცრიელობასა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 248).

ლაშარის ჯვრის „ადგილს წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმინდის გიორგისა სახელზედ, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შეწირული და შემწირველი გაუერთებია და კიდევ გაულმერთებია. მეორე გორაზე არის აშენებული თამარ დედოფლის სალოცავი მშვენიერს ადგილზედ... ორივე სალოცავს ერთად „მოდე-მოდმე“-თ (და-ძმანი) ეძახიან...“¹

ლაშარის ჯვრის სალოცავის გაღავანში ადგილია, სადაც „ბერამუხა“ მდგარა, „შეერთებული ცასთან ოქროს შიბით, ეს მუხა მოუტრევიანებია ზურაბ ერისთავს, რომელსაც ხალხი სულძალდობით იხსენიებს დღესაც... მას შემდეგ გასტენია საქართველოს იღბალი და ფშავის ბედიც უკან და უკან წასულა“².

4. კობალა და იახსარი დევებთან მებრძოლი გმირები არიან. ამიტომ აღიღებს მათ ფშაველი და შეწევნასაც ითხოვს: „დიდება შენდა, გმირო კობალაო, ...ლალო იახსარო, ...მოეხმარენით ემ ზედაშის პატრონსა და ყველა აქა კრებულთა“, (ვაჟას კრებ., თბ., 1970, გვ. 241).

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1964, გვ. 55-56.

² იქვე, გვ. 56.

5. ფშაველის წარმოდგენით, თითოეულ ადგილს, მთას, გორას, ხევს ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახის: „დიდებული ღმერთი შეეწიოს და ეს ჩვენი ადგილის დედა... ჩემს ძმისწულეებს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 238). „დავლათი საშინლად სწამს ფშაველს. მდიდარს, წინწასულს კაცს ის ეძახის დავლათიანს (იღბლიანს)“¹. ჩამოვთვალოთ შესაბამისი მაგალითები:

„უშიშა: ...შაგეწიას **ხევსურეთის დავლათი**, მტრის იღბალ ნუ მაგრიას“, (დასახ. ნაშრ., გვ. 263).

დავლათი — იღბალი, ბედი, სვე (ვაჟასთან „დავლათი“ ყოველთვის ამ მნიშვნელობით იხმარება „დოვლათს“ კი ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს, ა. ჭინჭარაული, გვ. 109).

„შენ გაუშარჯვე ჩვენს ჯარსა, **დოვლათო ახმეტისაო!**“ (დასახ. ნაშრ., გვ. 238);

6. აღსანიშნავია გუდანის ჯვარი. ამ სალოცავის სახელს მსაზღვრელად უძღვის: „დიდი, ბატონი“:

„**დიდო გუდანის ჯვარო**... წყალობას ნუ მაუშლი სახვეწრის (იგივეა, რაც **სამხვეწრო** — ვისიმე სულის მოსახსენებლად ან წყალობის გამოსათხოვად ხატისთვის მიტანილი ძღვენი, ალ. ჭინჭარაული, გვ. 231). პატრონს გიგოსა...“, (დასახ. ნაშრ., გვ. 241).

„კეთილის თვალთ იყოს ეს **ბატონი გუდანის ჯვარი** თქვენზედაც და ჩვენზედაც“, (დასახ. ნაშრ., გვ. 241).

7. ფშაველისათვის ძვირფასია სულის (აღბათ, სულიწმიდის) მადლი, მამის სალოცავები, ფშაველთ სალოცავები, ფშავეხევის სალოცავები, წმიდა გიორგი:

„ღმერთმა გიშველოს, ძმაო, **სულის მადლიც** შეგეწიოს და ზეთის ღვთისაცა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 250);

„შენამც შეგეწევა ჩემის **მამის სალოცავები**, შენამც გიშველის ღმერთი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 248);

„შაგეწიოს **ფშავეხევისურეთის სალოცავები**, კეთილ საქმეზე ხელი მოგიმართოს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 252);

„აგრემც შეგეწევა ღმერთი, აგრემც გიშველის **ფშაველთ სალოცავები**, შენი ჭირიმე, შენი კენესამე“, (დასახ. ნაშრ., გვ. 252);

„...ნიადაგ იმას ვიტყვი: „ღმერთო და **წმინდა გიორგიო**, შენ შეეწიე ამ საკლავის პატრონსო“ (დასახ. ნაშრ., გვ. 263).

¹ იქვე, გვ. 12.

ძალზე ხშირად ფშაველი ერთდროულად ახსენებს ღმერთს, წმიდანებსა და სალოცავებს:

„დიდება შენდა, **გმირო კობალო, ...ლადო იახსარო, ფუძის მთავარანგელოზო, საქართველოს მყოლო ანგელოზო, ...მოენმარენით** ემ ზედაშის პატრონსა და ყველა აქა კრებულთა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 241);

„ღმერთო და ჩვენი ღვთიშობელო, შენ შაგვეწიე და მოგვიმართე ხელი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 253);

„დიდებული ღმერთი შეეწიოს და ეს ჩვენი ადგილის დედა, ჩვენი **წმინდა გიორგი** ჩემს ძმისწულეებს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 263).

I დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულს და თვალსაჩინოებისათვის გადავხედოთ სქემას, სადაც გვერდიგვერდაა მოყვანილი **დადებითი სემანტიკის მქონე ზმნები და სახელები**, რომელთაგანაც აგებულია ძირითადი ნაწილი ლოცვა-დალოცვის ფორმულებისა. ამავე დროს შევეცადეთ წარმოგვედგინა ზმნური ფორმების ერთგვარი კლასიფიკაცია დრო-კილოთა მიხედვით.

ა) **სიხშირის ნიშნით უპირატესობა ერგო II კავშირებითის ზმნებს:**

მე მაამოს; შენი სიცოცხლე გაამოს; გაამოსთ თქვენი წუთისოფელი; აგაშენოს, მეცხვარეო; აგაშენოსთ...

(დიდებული ღმერთი...) შეეწიოს ჩემს ძმისწულეებს.

მეც მადდეგრძელოს... შენ გადდეგრძელოს... ბიძია; ჩეფე აღდენძელას, დედუფალ გაახარას;/ გაცოცხლოსთ და გადდენძელოთ ყველა... გამრავლოს, შენი სიცოცხლე გაამოს.

(ბებერო, მღვდელო, ბალო...) გაცოცხლოს; მიირთვიეთ... გაცოცხლოთ, გაგიმარჯოთ! წირვა-ლოცვის მადლი შაგვეწიოს გაცოცხლოს (თავის (აქ შენ-ის მნიშვნელობით) ქმრითა და წილობით)

შაგვეწიას გუდანის ჯვრის დავლათი

შაგიწირას გუდანის ჯვარმა

გამრავლდეს შენფერეები

გაგახაროს შვილო, პატარძალო

დიდი გიმატოსთ ღმერთმა

გაუმარჯოს

**კონკრეტულ
სახელთაგან:**

ნეფეს და დედოფალს, დროშას, თამარ მეფეს, დროშინთ, თოფს, ხმალს, ლაშარის ჯვარს, გულდანის ჯვარს, მეფეს, მინდორსა გადაღანებულს, ნამგალსა, ოჯახსა გავერანებულს, ყანას მოწიფულს, სალოცავებს, ცელსა, ბატონს, სამშობლოს მხსნელ ქალს...

**აბსტრაქტულ
სახელთაგან:**

ამაგს, სამართალს, ძალს, სიცივისაგან კანკალსა, სიყმილსა, (ლაშარის ჯვრის) საყმოს...

ჯვარი გეწეროსთ..., ერთმანეთს **შეგაბეროსთ**

მეფე **გვიცოცხლოს** ზეცაჲ

შაგეწიოს წმინდა ლაშარი-ჯვარი...

იდიდოს შენი სახელი... (ბატონო!...) **იდიდოს** მეფემ!

იკურთხოს დღე თანხმობის (ძმობის, მისვლა მეკვლისა, მისი კვალი, მაღლი ქედისა, ნინოს მხნეობა, დედათა ღვაწლი, ძუძუ (დედამიწის), სახელი...)

მოგწიოს ლაშარის ჯვარმა... გულის წადილსა

შაგეწიოსთ... მაღლი და დავლათი

მოგცეს მტრის თავი

სულის მაღლი **შაგეწიოს**

ტკბილად **დაგაბეროსთ**

შეარგოს უფალმა... ძუძუ დედისა

ღმერთმა **აგავსოთ** პურითა, ღვინითა და თავში ტვინითა

ღმერთმა... **შეგარგოსთ**, ძილი და ვახშამი **გაამოსთ**

ღმერთმა **გაბედიანოს**... ვაჟები **მოგცესო**

გადიდას ღმერთმა, **გაგიმარჯოს**, დიდო გულდანის ჯვარო!

ღმერთმა **გაკურთხოს**; ღმერთმა **განაძლიეროს** შენი ძალა,

ფრინველო!

ღმერთმა ხელი **მოგიმართოს**, **გაგაბედნიეროს!**

გაგახაროს ღმერთმა, **გვიცოცხლოს** მზის საფიცარი („ვის მზესაც ფიცულობენ, — „შვილი, ვაჟი“ (ვაჟა), ალ. ჭინჭ., დასახ. ნაშრ., გვ. 241).

ღმერთმა **გადაგინადოს** (ჩემს მაგიერი) სიკეთე, ღმერთმა

გიშველოს

ღმერთმა **გაზარდოს**, კაი კაცი **გამოიყვანოს!**

ღმერთმა **გაგიზარდოსთ**

მრავალი... **გაგითენოთ** ღმერთმა (შობა დღე, დილა მშვიდობისა, სიმთელისა, სიხარულისა)

გადიდოსთ ღმერთმა, **გაგიმარჯოსთ**

ღმერთმა **დაგასწროს** (მრავალსა) ახალ წელსა და შობასა!

ღმერთმა **დამიფაროს...**, ღმერთმა დაგიფაროს, შვილო!

ღმერთმა **დაიფაროს!**

ღმერთმა **დალოცოს...** ალალი ოფლით ნაშოვარი...

ღმერთმა ნაფიქრალი **კეთილად მაუხდინოს**

კეთილი მოგცას ღმერთმა

ღმერთმა **კარგი მოგცეს...** (თვალის სინათლე, მუხლში ჯანი, სააქაოს ცხოვრება, საიქიოს ცხოვნება, ჯანი საღი, დიდი დღე, ხსნილობა, „ხსნილობას მისცემს — ცოდვებს შეუწოდებს“ ალ. ჭინჭ., დასახ. ნაშრ., გვ. 385), მტრის თავი).

ღმერთმა **გაცოცხლოსთ...** მრავალჯერ **გადუღებინოსთ** ლუდი **მშვიდობა** მოგცეს ღმერთმა

ღმერთმა შვიდობაში **მოჯანმაროს!**

ღმერთმა **გიშველოს**, ხელ-მხარი მშვიდობაში **მოჯანმაროს!**

ღმერთმა **დაგიხსნათ** ყოველის ბოროტებისა და განსაცდელისაგან

ღმერთმა **უშველოს** ცოცხალსა, ქალსა თუ კაცსა ყველასა!

ბ) აქვე, ცალკე გამოყავით **შედგენილშემასმენლიანი ფორმები:**

შენი **სამწყალობნო იყვას**, შენ სადიდებულო!.. **სამწყალობნო** — „ხატისაგან წყალობის, ბედ-იღბლის, სულის ცხოვნების და მისთ. გამოსათხოვი“, ალ. ჭინჭ., დასახ. ნაშრ., გვ. 236. სადიდებულო — „ხატის სახსენებელი, სადიდებელი ლოცვა“, ალ. ჭინჭ., დასახ. ნაშრ., გვ. 230).

კეთილი იყოს, შენი ფეხი ამ ოჯახში;

თქვენის **გამარჯვებისა (იყოს)**, ქუდოსან-მანდილოსანო...

მშვიდობა, თქვენი **კარგად ყოფნა (იყოს)** და **დღეგრძელობა**;

კეთილი იყოს ჩვენი მოსვლა და შენი დახვედრა;

კეთილი იყოს ჩვენი ძმობა;

კურთხეულიმცა (იყოს), ვინც არ დაივიწყოს უფალი;

მრავალჟამიერ იყოს სიცოცხლე ჩემის ქვეყნისა...

სადიდებულო ჩვენის სალოცავისა იყოს, სამწყალობნო
შენის თავისა...

შენი სადღეგრძელო იყვას;

ღმერთმა ალალი უყოს ჩემი ცრემლიო;

(ავი ნურაიმც მოგივათ), ღმერთმა გამყოფნესთ მთელანი;

ღმერთს... ვთხოვ: იცოცხლო, გამარჯვებული გამყოფოს;

ჩამოთვლილი ფორმები შედგენილი შემასმენლისა, II კავში-
რებითს ეკუთვნის. სახელად ნაწილად გამოყენებულია წარსული
და მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობათა ფორმები: გა-
მარჯვებული იყოს, ან გამარჯვებული გამყოფოს, კურთხეულიმც
იყოს, სამწყალობნო იყოს, სადიდებელი იყოს, ან კიდევ წარმო-
ქმნილი სახელები: სადღეგრძელო იყოს, დღეგრძელობა იყოს,
დღეგრძელი იყოს, მრავალჯამიერ იყოს და ზედსართავები: კეთი-
ლი იყოს, ალალი უყოს, გამყოფნესთ მთელანი.

შედგენილი შემასმენელი გვხვდება აწმყოში, წყვეტილსა და
ბრძანებითში:

1. დღეგრძელი ხარ!

...თქვენი კარგად ყოფნა (იყო) და დღეგრძელობა!

2. უფალო..., ნუგეშმცემლად ეყავი დაჩაგრულებსა ყველათა;

3. იყავი გამარჯვებული და იცოცხლე მრავალჯამიერ!

ბ) შეგვხვდა წყვეტილის ფორმები:

გიშველა ღმერთმაო! — მაღლი გადაუხადეს ამხანაგებმა;

— შენ გიშველა ღმერთმა. მეც აღარაფერს გეტყვი...

აი, გიშველა ღმერთმა, მაღლობელი ვარ...

— აი, გაცოცხლა ღმერთმა და გადღეგრძელა.

ზემოჩამოთვლილი დალოცვის ფორმულებში მონაწილე სა-
ხელთა მოთხრობითის ფორმების შეფარდებითი სინშირე შეპი-
რობებულია ზმნათა II კავშირებითის (ან ნამყო სრულის) აბსო-
ლუტური სიმრავლით. ამ ფორმებს ენაცვლება ნომინატიური
კონსტრუქცია ზმნის მყოფადის ფორმებითურთ:

ღ) შენამც შაგეწევა ჩემის მამის სალოცავები, შენამც
გიშველის ღმერთი!

აგრემც შაგეწევა ღმერთი, აგრემც გიშველის ფშაველთ
სალოცავები!...

აგრემც შაჰრჩები დედაშენს, აგრემც გიშველის ღმერთი;
ღმერთიმც გიშველის, ...შენამც შაჰრჩები და გაეზდები
დედაშენსა;

ღმერთი გადღეგრძელებს, გაგვარჩიეთ;

მისტუმრე, ღმერთი გადღეგრძელებს;

...ღმერთი დედას გიცოცხლებსა;

...ღმერთიმც გიცოცხლებს ქმარ-შვილსა;

ღმერთიმც შაეწევა შენს ჯანსა. ღმერთიმც გიშველის;

...მიშველე, ღმერთი გიშველის!

აქვე შეგვიძლია ვთქვათ ცოტა რამ -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის შესახებ. -მცა, -მც ნატვრითი ნაწილაკია. იგი დაერთვის არსებით სახელსაც და კუთვნილებით ნაცვალსახელსაც (ღვთისგანამც ნუ გაიწირები!, შენსამც ჭირს..., მათსამც სულს..., თქვენსამც ნებას...), ადგილის, დროისა და ვითარების ზმნიზედებასაც (აიქამც გაემარჯვება..., მულამამც გაემარჯვება..., კლოვამც მოხვალთ, აგრემც გაემარჯვება...) და უარყოფით ნაწილაკებსაც (ნუმც, ნურაიმც, ნურც).

ეს ნატვრითი ნაწილაკი „წინათ მხოლოდ თხრობით-კილოიანი მწკრივის ფორმას იგუებდა და რამდენადმე ეხლაც ასეა მთის კილოებში“¹.

„ასპექტის სისტემის შეცვლამ და მყოფადის ჯგუფის ჩამოყალიბებამ კავშირებითი კილოს ნაკვეთები გაათავისუფლა მომავალი დროის აღნიშვნის ფუნქციისაგან. მათი ძირითადი ფუნქცია გახდა კილოური შინაარსის გადმოცემა. ამან თავის მხრივ გამოიწვია -მცა ნაწილაკის ფუნქციის დაბნელება და მისი თანდათანობით გაქრობა. -მცა ნაწილაკის მოშლის გამოხატულებაა მისი ხმარება კავშირებითი კილოს ზმნებთან, რაც დაწყებულა XI საუკუნიდან და XVIII ს-ის დამლევისათვის ძირითადად დასრულებულა“².

სხვაგან ვკითხულობთ: „-მცა ნაწილაკის სინტაქსური ძალა ახალ სალიტერატურო ქართულში არსებითად მოშლილია: იგი შეიძლება კავშირებითის ფორმასთანაც იყოს“³.

¹ აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, ქართ. ენის გრამატ. საფუძვლები, თბ., 1980, გვ. 615.

² ჰ. გაჩეჩილაძე, კვლავ -მცა ნაწილაკისათვის, იკე, XII, თბ., 1960, გვ. 252, (დამოწმებული აქვს ასმათ ჰაპიძეს)

³ აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 615.

ჩვენ მიერ ამოკრებილ დალოცვის ფორმულებში -მცა ნაწი-
ლაკიანი კონსტრუქცია უმეტესად თხრობით-კილოიან მწკრივის
ფორმებთან შეგვხვდა. სულ რამდენიმე მაგალითი გვაქვს -მცა ნა-
წილაკის ხმარებისა კავშირებითი კილოს ზმნებთან; აი, მაგალი-
თებიც, ჯერ თ ხ რ ო ბ ი თ - კ ი ლ ო ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი ს ა :

„...აგრემც შაგეწევა ღმერთი, აგრემც გიშველის ფშა-
ველთ სალოცავები“...”, (ვაჟას კრებ., გვ. 253).

„შენამც შაგეწევა ჩემის მამის სალოცავები, შენამც გიშ-
ველის ღმერთი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 261);

„ღმერთიმც შაგეწევა შენს ჯანსა. ღმერთიმც გიშველის“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 261);

„...თქვენთვისაც გამარჯვება, კლოვამც სალხინოდ მო-
ხვალთ“, (დასახ. ნაშრ., გვ. 239);

„ღმერთიმც გიშველის — აიქამც გაგემარჯვება, საცა
ხმაღნ იქმენ გელასა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 239);

„აგრემც გაემარჯვება თქვენს ხმაღსა, თქვენს ძალსა და
სამართალსა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 239);

„თქვენსამც ნებას იქნება ეს სასმელი, ეს საკმელი... (ჩვე-
ნო მკვდრებო)“, (დასახ. ნაშრ., გვ. 244);

„შენამც შაგეწევა ჩემის მამის სალოცავები, შენამც გიშვე-
ლის ღმერთი“.

„შენამც შაჰრჩები და გაეზღები დედაშენსა“, (დასახ.
ნაშრ., გვ. 262);

„დიდება უფლის სახელსა, სულის ცხონება იმათა, რაც
ღმერთს მიუცავ სამყოფოდ, ნუმც მოეშლებათ ბინადა!“ (დასახ.
ნაშრ., გვ. 249);

„თქვენამც მოგივათ, ჩვენო მკვდარნო, ანთებულ სა-
ნთელი...“, (დასახ. ნაშრ., გვ. 248).

„ავი ნურამც მოგივათ, ღმერთმა გამყოფნესთ მთელანი“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 238);

„მუდამამც გაგემარჯვება, ნუმც ცარიელი დაჰრჩები“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 249);

„თქვენც გაგიმარჯოსო, ხალისი ნუმც დაგელევათ ომისა“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 249);

„ღვთისგანამც ნუ გაიწირები!“ (დასახ. ნაშრ., გვ. 252).

-მცა ნაწილაკი კავშირებითი კილოს ზმნებთან ერთად:
„მოგწიოს ლაშარის ჯვარმა მუდამამც გულის წადილსა!“
(დასახ. ნაშრ., გვ. 248);

„(ანთებულმა სანთელმა) თქვენსამც სულს უნათოს“, (და-
სახ. ნაშრ., გვ. 250);

„კურთხეულიმცა (კურთხეულიმც იყოს), ვინც არ დაი-
ვიწყოს უფალი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 247).

დავუბრუნდეთ დადებითი სემანტიკის მქონე ზმნათა კლასი-
ფიკაციას.

ე) შედარებით ნაკლებია აწმყოს კავ-
შირებითის ფორმები:

...ყოვლაწმიდაც გვწყალობდეს

გწყალობდეს ამის დავლათი...

ჰფარვიდეს უფლის კალთაო!

მადლი სწყალობდეს უფლისა!

...ღმერთი გიძღოდეს!

ვ) მოიძებნა ორიოდე ნიმუში I თურმე-
ობის ფორმებისა:

...მშვიდობით, შენთვის გზა დამილოცია!

...დიდი გიმატებია..., დიდი მიმატებით!

საგულისხმოა, რომ ყველა ფორმულა, რომელიც ითავსებს
ზმნებს II კავშირებითისა და წყვეტილის ფორმებით, აგრეთვე,
მყოფადის, აწმყოს, აწმყოს კავშირებითისა და I თურმეობითის
ფორმებით, დალოცვის შინაარსს გამოხატავს.

ლოცვის გამომხატველი ყველა გამოთქმა მხოლოდ ბრძანე-
ბითის ფორმებითაა წარმოდგენილი, თუმცა ბრძანებითი კილოს
ზმნებს, მცირე რაოდენობით, მაგრამ დალოცვის ფორმულებიც
საქიროებს.

რამდენადაც ადამიანი სურვილის შესრულებისათვის
ღმერთს, წმინდანებსა და სალოცავებს მიმართავს, ბუნებრივია,
ზმნები ბრძანებითი კილოს ფორმებს მოითხოვს, თუმცა არ უნდა
დაგვავიწყდეს, რომ ამ ფორმებს თხოვნა-ვედრების, ხვეწნა-მულა-
რის ელფერი დაჰკრავს.

ჯერ ლოცვის ფორმულების ნიმუშები მოვიყვანოთ:

ღმერთო და ჩვენო ღვთიშობელო, შენ შაგვეწიე და მო-
გვიმართე ხელი!

ღმერთო, მიშველე, მომხედე, ბნელი გზა გამინათლეო!

დამიფარე, ღმერთო, რაღა ჩემზედ მოიცალეს...

ღმერთო, მიცოცხლე, დამიზარდე ჩემი შვილებიო!

ღმერთო, გვიშველე და კარგა მიყოფე ყველა აქა ბრძანებული.

ღმერთო, ...„მუხის“ ანგელოზო, ...თამარ დედოფალო, ...**უმატეთ** ამათ სახლის ღონესა...

უფალო... მთა-ბარს **მოჰნიქე** წყალობა, ნუგეშმცემელად **ეყავი** დაჩაგრულებსა...

უფალო... თავისუფლების გვირგვინი **დაადგი** (მთა-ბარს) კარგის მცველადა.

ადიდე ლაშარის ჯვარი, ცისა და ქვეყნის იერო!

ღმერთო და წმინდა გიორგიო, შენ **შაეწიე** ამ საკლავის პატრონსო!

ღმერთო, ქვეყანა **გაანათლე**, **გაუფხიზლე** გონება!

ღმერთო, **მოჰხედე** ტანჯულთა, **უშველე**, შიშყალეო!

„შენ **გაუმარჯვე** ჩვენს ჯარსა, დოვლათო ახმეტისაო!“

...**შაიწირ-შაიხვეწიე** (სახვეწრის პატრონი გიგო...) დიდო გულანის ჯვარო!

დიდება შენდა, გმირო კობალაო, ...ლალო იახსარო, ...**მო-ენმარენით** ემ ზედაშის პატრონსა და ყველა აქა კრებულთა!

ბრძანებითის ფორმებიანი დალოცვის ფორმულები:

იყავი გამარჯვებული და **იცოცხლე** მრავალყამიერ!

სამშობლოვ, **გაიხარეო!** **დაიქით...** **შაირგეთ** და **გაიხარეთ!** ვერხვი მუდამ იმათ ჰლოცავდა: **დაიზარდენით...** პატარებო, **გაიხარეთ!**

გაიმსჭვალენით კეთილით, სისხლით, ხორციით და ძვალადა!

დაილოცენით ფშავლებო, თქვენის ფშაურის წესითა!

ხეო, **იცოცხლე** ღვთიანო! **იცოცხლე**, გულო, შენ ჩემო...; სანამ **იცოცხლე**, გოგოთურ, სანამ ცასა სდის ნამია...; შენფერა, ბაბურაულო, არავინა გეყავ მთაშია, **იცოცხლე**, დიდხანს **იცოცხლე!**, თქვენ **იცოცხლეთ** სიხარულში, ღვინ-გახარებაში!

ტყეო, ...მუდამ იხარე ფოთლით..., გმადლობთ, **იცოცხლეთ, იხარეთ!**

დაილოცა ღმერთი, **დაილოცა** იმის სამართალი (კახეთის მადლი, სალოცავები, ფშავლები...)

დიდება გამჩენის სამართალს (რჯულ-ქრისტიანეთს, თქვენს ძალსა, სამართალსა, (ღმერთის) სახელსა, უფალს, უფლის სახელს, ღმერთს, შემოქმედს, ბუნების ძალას, გიორგი მუხის ანგელოზს, გმირ კობალას, თამარ ნეფეს, თამარ დედოფალს, ლაშარის ჯვარს, ლალ იახსარს, „მუხის“ ანგელოზს, საქართველოს მყოლ ანგელოზს, საქართველოს მცველ ანგელოზს, ფუძის მთავარ-ანგელოზს; ღვთიშობელს, კვირას (ღმერთების პანთეონის ერთ-ერთი მთავარი წევრი, ერთ-ერთი „ხთიშვილი“ — ალ. ჭინჭ., დასახ. ნაშრ., გვ. 160) კარაიანს, წმინდა გიორგის, წმინდა გიორგის სახელს, ჩანგს, ცათა მპყრობელს...).

ზემოდასახელებული მაგალითების მიხედვითაც ცხადია, რომ ლოცვის დროს ადამიანი თხოვნა-ვედრებით მიმართავს უფალს, ყველა წმიდანს, სალოცავებს; დალოცვისას, ადამიანი, მართალია, შეწევნასა და წყალობას ითხოვს ღვთისაგან, ყველა წმიდა ჯვარ-ხატ-ანგელოზისაგან, ოღონდ მიმართავს არა ღვთიურ ძალებს, არამედ მსმენელს.

აღსანიშნია დალოცვის ერთი სახე. „მოხვედით მშვიდობით!“ — „ამ ქართულით უხვდება ფშაველი მამაკაცი და დედაკაცი შინ მოსულ სტუმრებს, ან თუ შინაურებს, მაგრამ სამგზავროთ ნამყოფი და შინ დაბრუნებულთ... ეს ორი სიტყვა მთელს წარსულს გადაგვიშლის ხალხის ცხოვრებისას... როცა ვისმე ისტუმრებს ფშაველი სახლიდგან, გზას ასე ულოცავს: „მშვიდობით წადი, ჯვარი გეწეროს!“ ძველი ცხოვრება, უფრო მთის ხალხისა, მოუსვენარი, მუდამ სისხლით შეღებილი, სხვას რას ანატრებინებდა შინაურებს, თუ არ თავის წევრთა შინ მშვიდობით მოსვლას?... საგულისხმოა, რომ პირველად ქართულად ნათქვამი „გამარჯვებით“ ჯერ მონადირეს ეკუთვნის და შემდეგ მოლაშქრეს“.

ამგვარმა მოუსვენარმა ყოველდღიურმა სინამდვილემ ასე დაალოცინა ხალხს ერთმანეთი:

„მზევინარი: თქვენც **მოხვედით მშვიდობით!**“ (ვაჟას კრებ., თბ., 1970, გვ. 249);

„ღმერთმა... მრავალჯერ **მშვიდობით წავიყვანოს, მაგიყვანოს**“, (დასახ. ნაშრ., გვ. 259);

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1964, გვ. 183-184.

„ღმერთი მშვიდობით მგზავრობას მოგცემთ!“ (დასახ. ნაშრ., გვ. 259).

შენც წადი მშვიდობითა, შენი კენესამე — გააყოლა თან დედაჩემმა (დასახ. ნაშრ., გვ. 249);

„შუშანა (სინჯავს თოფს): კაი რკინაა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!“

თითოეული ადამიანისათვის ძვირფასია ახლობელი მიცვალებულის სული. გარდაცვალებულთათვის შემწეობაა სააქაოს მკვიდრთა დალოცვა. აი, სულთა მოხსენებისათვის დამახასიათებელი გამოთქმები:

„ღმერთმა შაგიწყალნეს, ჩვენო მკვდრებო, ...თქვენსა ნებას იქნება ეს სასმელი, ეს საჭმელი; შაიწყალოს, ვინც ჩვენი ხელით მოგონებას მოელოდეს, ... იმის ნებასაც იქნება“, (ვაჟას კრებ., თბ., 1970, გვ. 244);

„ღმერთმა შაუნდნეს ჩვენთ მკვდართა, ... თქვენამც მოგივათ, ჩვენო მკვდარნო, ...ანთებული სანთელი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 248);

„მოიხსენოს ღმერთმა, იმის (მკვდრის) მოსვლამდე გაცოცხლოს...“, (დასახ. ნაშრ., გვ. 255);

„ღმერთმა შაიწყალოს, ღმერთმა გაანათლოს იმათი სული“, (დასახ. ნაშრ., გვ. 255);

„ღმერთმა შეიწყალნეს შენნი ბებო-პაპანი, ძმანო მამუკავ, — იალადად ჰქმნას იმათი სული“, (დასახ. ნაშრ., გვ. 257);

„ღმერთმა ყველას გიშველოთ, ღმერთმა იმის დანაკლისი დღე თქვენ შეგმატოთ“, (დასახ. ნაშრ., გვ. 261);

„შეიწყალოს გარდაცვალებულები (ვინც ჩვენი ხელით მოგონებას მოელოდეს, ვისაც ჩვენთან ერთად პური უჭამია, უპატრონო მკვდარი, ბიძაშვილები, დედ-მამანი, და-ძმები..., ლაშა-რის ჯვრის პიროფლიანნი)“, (დასახ. ნაშრ., გვ. 262).

„ხალარჯობის“, ანუ სულთა მოხსენების მეორე დღეს, — მოგვითხრობს ვაჟა, მკვდრის პატრონები აკეთებენ „რიგებს“ სახლში, იპატიუებენ მოკეთებებს და სტუმრები ასე ესალმებიან ჭირისუფალთ:

„თქვენთვისაც გამარჯვება, კლოვამც სალხინოდ მოხვალთ, — ეტყვის დანარჩენ ხალხს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 250);

„მგლოვიარეს, როცა თავს მოიპარსავს, ყველანი მადლობას გადაუხდნიან: კლოვ სალხინოდ მოგაპარსვინოს პირი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 250);

„თქვენამც მოგივათ, ჩვენო მკვდარნო, ...ანთებული სანთელი: თქვენსამც სულს უნათობს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 250).

იშვიათად დალოცვისას ფიცია შერეული. „ფიცის შემცველი გამოთქმები, ჩვეულებრივ, დიალოგური მეტყველების კუთვნილებათა... ფიცის შემცველი დიალოგის ორი სახე უნდა განვასხვაოთ: ერთ შემთხვევაში... გამოთქმებისათვის დამახასიათებელია რწმუნება-მტკიცების ნიუანსი. ამგვარ ფიცის ფორმულებში არსებითი სახელი მოთხრობით ბრუნვაში დგას: ღმერთმანი, მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშვილობამ, მამაშვილობამ, ჩემმა (შენმა, თქვენმა...) მზემ და მისთ. ფიცის შინაარსის მქონე დიალოგის მეორე ჯგუფი აერთიანებს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც გამოხატავენ თხოვნას, ხვეწნას, მუდარას... ამდენად ამ ტიპის გამოთქმები ხასიათდება ხვეწნა-მუდარის შინაარსით. ფიცის ფორმულის ამ ჯგუფის არსებითი სახელისათვის ნიშანდობლივია მიცემითი ბრუნვა, ასეთებია დედაშვილობას, მამაშვილობას, ჩემს (შენს, თქვენს...) მზეს და მისთ“¹.

სწორედ ამ ტიპის ფიცის ფორმულათა ნიმუშებია:

„იმ შენი ლამაზი ხუტას დღეგრძელობასა... თუ გწამს ცნობა-ნდობის გამჩენი...“ (დასახ. ნაშრ., გვ. 246);

„მიშველე, რამა, შენს მადლსა, წამალს ნუ დამიგვიანებ“, (დასახ. ნაშრ., გვ. 262);

„ნუ მავლებ თვალცრემლიანსა, თქვენი შვილების სიცოცხლეს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 262).

ერთგულებისათვის ფიცი გამოსჭვივის ამ მაგალითშიც:

„ივანე: სადღეგრძელო იყოს შენი, ჩონთავ! ჩონთა: შენსამც ჭირს შავეყრები, მადლობელი!“ (დასახ. ნაშრ., გვ. 262).

II როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლოცვა-დალოცვას გამოხატავს უარყოფითი შინაარსის სახელთა ან ზმნათა უარყოფაც. ხოლო ამ ბოროტის, ავის, ერთი სიტყვით, ცუდის უარსაყოფად ვარგისია სწორედ უარყოფითი ნაწილაკები: ნუ, ნურა, ნულარა, ნუმც, ნურც, ნურაიმც, აგრეთვე; უარყოფითი ნაცვალსახელი —

¹ ალ. კობახიძე, „დედაშვილობამ“ — „დედაშვილობას“ ტიპის ფიცის ფორმულების შესახებ, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984 წ., გვ. 262.

ნურავინ. ჩამოთვლილ ნაწილაკთა გარეშე თითო-ორიოლა გამო-
თქმას თუ ვნახავთ.

უარყოფითი სემანტიკის მქონე კომპონენტებისაგან შემდგა-
რი ლოცვა-დალოცვის ფორმულები შევეცადეთ დაგვეყო რამდე-
ნიმე ქვეყნულად:

ა) ნეგატიური სემანტიკის მქონე ზმნა
უარყოფთა უარყოფითი ნაწილაკით:

ღმერთს ეხვეწება: „უფალო, მაცხოვრე მადლიანადა, **ნუ დამაბრ-
მავებ** ცოდვისთვის, მამყოფე თვლიანადა“, (ვაჟის კრებ.,
თბ., 1970, გვ. 251);

„დაიწერა პირველადი და დაიწყო: დიდებული ღმერთი შეეწიოს,
...**ნურა წაუხდინოს**“, (დასახ. ნაშრ., გვ. 259);

„ღვთისგანამც **ნუ გაიწირები!**“ (დასახ. ნაშრ., გვ. 252).

ბ) სახელი დადებითი სემანტიკისაა,
ზმნა — უარყოფითისა და უარყოფილია
უარყოფითი ნაწილაკით:

„შენ შენს **წყალობას ნუ მაუშლი** სახვეწრის პატრონს გიგო-
სა...“, (დასახ. ნაშრ., გვ. 241);

„ღმერთო, ... „მუხის“ ანგელოზო, ...თამარ დედოფალო, ...ვაჟის
პატრონს ვაჟის **ქორწილს ნუ მაუშლით**“, (დასახ. ნაშრ.,
გვ. 245);

„**გულს ნუ მომიკლავ**, უფალო, იმედს **ნუ დამინიავებ**, ...მი-
შველე რამა, შენს მადლსა, **წამალს ნუ დამიგვიანებ**“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 251);

„ღმერთო, **ნუ დაშლი** ამ სახლში **ღვინსა და განარებასა** (ქა-
ლების გასტუმრებასა, ვაჟების ქორწილობასა...“), (დასახ.
ნაშრ., გვ. 253);

„სიმართლისად **სინათლე ნუ გამოგილიოს**, ქუჭავ, ეგრე სჯო-
ბია“, (დასახ. ნაშრ., გვ. 250);

„...**ნუ მოგვიშალოს** უფალმა **ძმობა და ერთად ხადილი**“, (და-
სახ. ნაშრ., გვ. 251);

„თქვენი **თვალი და გული ნულარაზე ატიროს**“, (დასახ.
ნაშრ., გვ. 245);

„**თქვენ ნუ მოუკვდებით** ჩემს თავსა, რომ სულ ეს ნამდვილია“ —
(ეს ფიცის ფორმულაა, დასახ. ნაშრ., გვ. 249);

„წყარონი: წმინდადა, ანკარად მდინარნო!.. ნურც დაიშრიტე-
ბით“, (დასახ. ნაშრ., გვ. 249);

„ტყემ... შაშეს მადლობა გადაუხადა: „...ღმერთმა ნუ დაადუმოს
ნურადროს შენი ტკბილად მოუბარი ენა“, (დასახ. ნაშრ.,
გვ. 259);

გ) სახელიც უარყოფითი სემანტიკის
მქონეა და ზმნაც:

„ესე მტერი დაგეცალოსთ“, (დასახ. ნაშრ., გვ. 237);

„თებრონე: (ღმერთმა) მტერი დაგიმარცხოს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 258);

აქვე მოვიყვანოთ ფორმულები, რომელთა სახელები უარყოფითი სემანტიკის მქონეა, ხოლო ზმნები — კონკრეტულ სინტაგმაში — დადებითისა:

„გვაშორე სიკვდილი, უფალო, გვაშორეო...“, (დასახ. ნაშრ., გვ. 251);

„ღმერთმა ზარალი ზარალად გაკმავეოს, დაცემისად აგაყენოს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 254);

„ღმერთმა დამიფაროს ქურდობისაგან...; ღმერთო, შენი მადლისა და ძალის ქირიმე, დაიფარე განსაცდელისაგან“; (დასახ. ნაშრ., გვ. 257).

დ) მსახდვრელი უარყოფითი სემანტიკისაა, სახდვრული უარყოფითი ნაწილაკია (ინვერსიული რიგითაც):

„ავი ნურაიმც მოგივათ, ღმერთმა გამყოფნესთ მთელანი“, (დასახ. ნაშრ., გვ. 238);

„ნუღარა ავი მოგარგინოს ღმერთმა და ამ ჩვენი ბატონის („ნატი“ (ვაჟა), ღვთაება (შდრ. ყმა) — აღ. ქინჭ., გვ. 55) დოვლათმა“, (დასახ. ნაშრ., გვ. 239).

„ღმერთმა ზარალი ზარალად გაკმავეოს, ...ნუღარა ავი და ურიგო მოგარგინოს!“ (დასახ. ნაშრ., გვ. 259).

ე) მსახდვრელ-სახდვრულის შეკავშირება უარყოფით სემანტიკას ქმნის, მათთან შეწყობილი ზმნა სინტაგმატურად დადებითი შინაარსის მქონეა:

„...ძილი გაშორეთ ხანგრძლივი, სიფხიზლე მოგცესთ მრავალი“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 238);

„ღმერთმა გაშოროს ბოროტი, ავ საქმე, ავი წადილი...“ (და-
სახ. ნაშრ., გვ. 251);

„ღმერთო, ...დასწერეთ ჯვარი, ამორეთ ყოველი მავნე“, (და-
სახ. ნაშრ., გვ. 252);

„ღმერთო, ...„მუხის“ ანგელოზო, ...ლაშარისჯვარო, ...დაიფარეთ
ლადი მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან“, (დასახ.
ნაშრ., გვ. 257).

„ღმერთო, ...დაიხსენ ყოველგვარ გაჭირვებიდან; ღმერთო,
...შენ უშველე ყველა გაჭირვებულ კაცს, დაიხსენი ყველა
ჭირიდამ“, (დასახ. ნაშრ., გვ. 257);

ვ) მსაზღვრელ-საზღვრულის შეკავშირება დადებით სემან-
ტიკას ქმნის, ზმნა-უარყოფითს და მის უარსაყოფად
გამოყენებულთა უარყოფითი ნაწილაკი:

„თქვენც გაგიმარჯოსთ, ხალისი ნუმც დაგელევათ ომისა“,
(დასახ. ნაშრ., გვ. 249).

ზ) მსაზღვრელი უარყოფითი ნაცვალსა-
ხელია (საზღვრული ადამიანის ორგანოების სახელებია),
ზმნაც უარყოფითი სემანტიკისაა:

„შენი ამჯობინოს შენი მტრისასა, ნურავის თვალი და გული
მოგრიოს“, (დასახ. ნაშრ., გვ. 249).

ჩვენ მიერ ზემოდასახელებული მაგალითების მიხედვით
გამოიკვეთა კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ლოცვისა და
დალოცვის ერთი ტიპის ფორმულებისათვის, კერძოდ: ზმნის მო-
სალოდნელი ბრძანებითის ფორმის ნაცვლად, უარყოფითი -ნუ,
-ნურც ნაწილაკების ხმარებისთანავე, ჩნდება თხრობით-კილოიანი
აკრძალვითი (უკუთქმითი) ბრძანებითი მყოფადის მწკრივიანი
ზმნური ფორმებით, მაგალითად:

„უფალო, **მაცხოვრე** მადლიანადა, ნუ დამაბრმავებ ცოდ-
ვისთვის, **მამყოფე** თვალიანადა“; რამდენიმე თხოვნა სხვადასხვა
(დადებით-უარყოფითი) კონსტრუქციით.

„შენ შენს წყალობას ნუ მაუშლი სახვეწრის პატრონს გი-

გოსა, შაიწირ-შაიხვეწიე, დიდო გუდანის ჯვარო!“

„გულს ნუ მომიკლავ, უფალო, იმედს ნუ დამინიავებ,
...მიშველე რამა, შენს მადლსა, წამალს ნუ დამიგვიანებ“;

„...ღვთისგანამც ნუ გაიწირები!..“

„წყარონი: წმინდადა, ანკარად მდინარნო!.. ნურც დაიშრი-
ტებით!“

დასასრულს, ლოცვა-დალოცვის ფორმულები, როგორც
ენაში მზა სახით არსებული ფორმულები, ვაჟას ლექსიკაში ინდი-
ვიდუალიზმის მინიმალური ხარისხით ხასიათდება, რამდენადაც
ისინი, უწინარეს ყოვლისა, არსებითად ვაჟას შემოქმედების (გან-
საკუთრებით, პოეტური ნაწარმოებების) მასაზრდოვებელი დია-
ლექტების კუთვნილებაა, რასაც ადასტურებს თვით ვაჟას პუბ-
ლიცისტური წერილები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ვაჟას კრებული“, თბილისი, 1970, თბილისის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 136;

2. ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიუ-
ლი წერილები, თბ., 1964;

3. ალ. კობახიძე, „დედაშვილობამ“ — „დედაშვილობას“
ტიპის ფიცის ფორმულების შესახებ, ქართული სიტყვის კულტუ-
რის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984 წ.;

4. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, ქართული ენის გრამა-
ტიკის საფუძვლები, თბ., 1980;

5. ასმათ ზაპიძე, II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და
გამოყენება თანამ. სალიტ. ქართულში, ქართული სიტყვის კულ-
ტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, თბ., 1981 წ.

6. ალ. ჭინჭარაული, „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“,
თბილისი, 1969 წ.